ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1541386

ნომერი: AR1256352

თარიღი : 07.10.2014

გაცემის თარიღი : 15.10.2014

გაცნობის თარიღი : 15.10.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის , ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 7/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი წიკლაური პ/ნ 01009002032
- ვაჟა-ფშაველას გამზ, IV კვარტ, კორპ 22, ბ 24

ორგანიზაცია:
- შპს საქ საერთ ენერგეტიკული კორპორაცია კოდი: 230866783

ნომენკლატურა :
- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1256352 (07.10.2014) განცხადება, რომლითაც ითხოვთ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.10.007.018) გაზგასამართი სადგურის განთავსებასთან დაკავშირებით ქალაქგეგმარებით დასკვნას, გაცნობებთ შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურმა ერთხელ უკვე იმსჯელა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც განმეორებით განგიმარტავთ, რომ : სამსახურის მიერ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განთავსების მიზნით გაცემულია №133 (25.02.2009) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, №757821 (25.06.2013) ბრძანებით განაშენიანების რეგულირების გეგმა და №1393606 (18.07.2014) ბრძანებით განაშენიანების რეგულირების გეგმაში შეტანილია ცვლილება და დამატებულია ახალი ფუნქცია (გაზგასამართი სადგური და ავტოსამრეცხაო) ასევე შეიცვალა საკადასტრო მონაცემები და ფიქსირდება ახალი საკადასტრო გეგმები.

აქედან გამომდინარე, რაიმე სახის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემავალი მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების შესახებ, ასახული უნდა იქნეს ისევ გრგ-ში.გამომდინარე აქედან მოცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში (გრგ) რაიმე სახის ცვლილების განხორციელება, საჭიროებს შესაბამისი კორექტირების შეტანას. შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელების მიზნით, შეგიძლიათ ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე – http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შემდეგ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება.

დამატებით განგიმარტავთ, რომ მითითებულ დოკუმენტს განიხილავს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია“.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.